საქართველოს სტარტაპ-ეკოსისტემაზე მოქმედი ფაქტორები და მათი ანალიზი

გიორგი რაზმაძე

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირინე გურული, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გიორგი რაზმაძე

13.02.2022

აბსტრაქტი

სტარტაპს მსოფლიო ეკონომიკის განვითარების მიმართულებით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ინოვაციურ იდეებს და მცირე და საშუალო ბიზნესს დიდი წვლილის შეტანა შეუძლიათ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, განსაკუთრებით მაშინ როცა საქმე განვითარებად ქვეყნებს ეხება. საქართველოსათვის სტრატეგიულ მნიშვნელობას წარმოადგენს გამართული სტარტაპ ეკოსისტემის არსებობა. ამ ნაშრომის მიზანია შევაფასოთ საქართველოში არსებული სტარტაპ-ეკოსისტემა, ლიტერატურის მიმოხილვისა და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით.

კვლევის მიზანს წარმოადგენს შეისწავლოს საქართველოში არსებული სტარტაპ ეკოსისტემა და დაადგინოს რა ძირითადი ფაქტორები და პარამეტრები მოქმედებს საქართველოს სტარტაპ ეკოსისტემაზე. გავიგოთ რამდენად არის საქართველოში მიმდინარე სტარტაპ ეკოსისტემის ჩამოყალიბება წარმართული საერთაშორისო პრაქტიკით. განვსაზღვროთ სახელმწიფოს და კერძო სექტორის ჩართულობა და როლი სტარტაპ ეკოსისტემის ფორმირებაში.

რაოდენობრივი კვლვის საფუძველზე მოხდა იმ საკითხების გამოკვეთა, რომლის საფუძველზეც საქართველოში არსებულ სტარტაპ ეკოსისტემის ფორმირებაში მონაწილე მხარეებს საშუალებას აძლევს გაანალიზონ მათი მოქმედებები და მეტი სიზუსტით იმოქმედონ მიმდინარე გამოწვევების გადასაჭრელად.

საძიებო სიტყვები: სტარტაპი, ბიზნესი, ეკონომიკა, პარამეტრი, მეწარმეობა, აქსელერატორი, ინკუბატორი, სილიკონ ველი.